

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1 2017 წლის 2 თებერვალი

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ხორციელდება წლის დასაწყისისათვის გარდამავალი საბრუნავი სახსრების (ნაშთები წლის დასაწყისისათვის) განაწილება 269,3 ათასი ლარით.

შესაბამისად, იზრდება ხარჯვითი ნაწილი: სოციალური-ერთჯერადი დახმარება (ორგანიზაციული კოდი 06 02 04) 6.5 ათასი ლარი, „სამუსიკო სახლის რეზილიტაცია“ (ორგანიზაციული კოდი 05 02 02) 2.5 ათასი ლარი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები“ (ორგანიზაციული კოდი 03 04) 66.5 ათასი ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა“ (ორგანიზაციული კოდი 03 05) 25,0 ათასი ლარი, „შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები“ (ორგანიზაციული კოდი 03 02 03) 116.3 ათასი ლარი, „სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (ორგანიზაციული კოდი 03 02 01) 7.2 ათასი ლარი, „გზებისა და ტროტუარების, გაზონების მშენებლობის ხარჯები და პროექტების სამუშაოები“ (ორგანიზაციული კოდი 03 01 01) 43,1 ათასი ლარი, „წინა წელს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“ (ორგანიზაციული კოდი 01 04) 2.2 ათასი ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №34 დადგენილებაში (სსმ, 190020020.35.119.016304) შეტანილ იქნეს ცვლილებები დანართი შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ზახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა		2017 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	



	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 256,9	2 827,5	6 429,4	9 045,7	2 863,2	6 182,6	6 723,3	371,7	6 351,6
გადასახადები	107,8	0,0	107,8	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0
გრანტები	8 317,8	2 827,5	5 490,3	8 130,1	2 810,9	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
სხვა შემოსავლები	831,3	0,0	831,3	328,2	52,2	276,0	497,4	211,7	285,7
ხარჯები	5 869,8	13,5	5 856,3	6 137,4	162,5	5 974,9	5 690,0	160,0	5 530,0
შრომის ანაზღაურება	1 328,8	0,0	1 328,8	1 368,8	60,8	1 308,1	1 303,0	59,5	1 243,5
საქონელი და მომსახურება	673,0	13,5	659,5	665,1	9,8	655,4	607,1	8,5	598,6
სუბსიდიები	3 234,5	0,0	3 234,5	3 289,2	88,0	3 201,2	3 098,0	86,0	3 012,0
გრანტები	166,6	0,0	166,6	154,7	0,0	154,7	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	390,9	0,0	390,9	529,4	4,0	525,4	477,0	4,0	473,0
სხვა ხარჯები	76,1	0,0	76,1	130,2	0,0	130,2	204,9	2,0	202,9
საოპერაციო საღდო	3 387,1	2 814,0	573,1	2 908,3	2 700,6	207,7	1 033,3	211,7	821,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 271,2	2 603,7	667,5	2 553,7	2 488,8	64,9	965,0	159,4	805,6
ზრდა	3 305,4	2 603,7	701,7	2 714,6	2 488,8	225,7	1 015,0	159,4	855,6
კლება	34,2	0,0	34,2	160,8	0,0	160,8	50,0	0,0	50,0
მთლიანი საღდო	115,9	210,3	-94,4	354,6	211,8	142,8	68,4	52,3	16,0
ზრდა	210,3	210,3	0,0	273,7	211,7	62,1	5,0	0,0	5,0
ვალუტა და დეპოზიტები	210,3	210,3		273,7	211,7	62,1	5,0	0,0	5,0
კლება	94,4	0,0	94,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



ვალუტა და დეპოზიტები	94,4		94,4	0,0		0,0	0,0		
კლება	0,0	0,0	0,0	80,9	0,2	80,7	63,4	52,3	11,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	80,9	0,2	80,7	63,4	52,3	11,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 256,9	2 827,5	6 429,4	9 045,7	2 863,2	6 182,6	6 723,3	371,7	6 351,6
გადასახდელები	107,8	0,0	107,8	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0
გრანტები	8 317,8	2 827,5	5 490,3	8 130,1	2 810,9	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
სხვა შემოსავლები	831,3	0,0	831,3	328,2	52,2	276,0	497,4	211,7	285,7
ხარჯები	5 869,8	13,5	5 856,3	6 137,4	162,5	5 974,9	5 690,0	160,0	5 530,0
საოპერაციო სალდო	3 387,1	2 814,0	573,1	2 908,3	2 700,6	207,7	1 033,3	211,7	821,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 271,2	2 603,7	667,5	2 553,7	2 488,8	64,9	965,0	159,4	805,6
ზრდა	3 305,4	2 603,7	701,7	2 714,6	2 488,8	225,7	1 015,0	159,4	855,6
კლება	34,2	0,0	34,2	160,8	0,0	160,8	50,0	0,0	50,0
მთლიანი სალდო	115,9	210,3	-94,4	354,6	211,8	142,8	68,4	52,3	16,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ნაშთის ცვლილება	115,9	210,3	-94,4	273,7	211,7	62,1	5,0	0,0	5,0

მუხლი 3. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 6 773,0 ათასი ლარით:

	2015 წლის ფაქტი		2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუ თარი შემო სავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუ თარი შემო სავლები
შემოსულობები	9 291,1	2 827,5	6 463,6	9 206,6	2 863,2	6 343,4	6 773,3	371,7	6 401,6
შემოსავლები	9 256,9	2 827,5	6 429,4	9 045,7	2 863,2	6 182,6	6 723,3	371,7	6 351,6
არაფინანსური აქტივების კლება	34,2	0,0	34,2	160,8	0,0	160,8	50,0	0,0	50,0
შემოსავლები	9 256,9	2 827,5	6 429,4	9 045,7	2 863,2	6 182,6	6 723,3	371,7	6 351,6
გადასახადები	107,8	0,0	107,8	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0
ქონების გადასახადი	107,8	0,0	107,8	170,4	0,0	170,4	170,0	0,0	170,0
სხვა გადასახადები (საშემოსავლო)	0,0			417,0		417,0	450,0		450,0
გრანტები	8 317,8	2 827,5	5 490,3	8 130,1	2 810,9	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 317,8	2 827,5	5 490,3	8 130,1	2 810,9	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 648,3	158,0	5 490,3	5 477,7	158,5	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 490,3		5 490,3	5 319,2		5 319,2	5 445,9		5 445,9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158,0	158,0		158,5	158,5		160,0	160,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 669,5	2 669,5	0,0	2 652,4	2 652,4	0,0	0,0	0,0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1 635,0	1 635,0		1 794,3	1 794,3		0,0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	506,5	506,5		481,6	481,6		0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	528,0	528,0		376,6	376,6		0,0		
სხვა შემოსავლები	831,3	0,0	831,3	328,2	52,2	276,0	497,4	211,7	285,7
შემოსავლები საკუთრებიდან	55,1	0,0	55,1	66,9	0,0	66,9	62,0	0,0	62,0
პროცენტები	17,5		17,5	28,7		28,7	25,0		25,0



რენტა	37,6	0,0	37,6	38,2	0,0	38,2	37,0	0,0	37,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	37,6		37,6	36,0		36,0	35,0		35,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,0			2,2		2,2	2,0		2,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	42,7	0,0	42,7	60,6	0,0	60,6	61,1	0,0	61,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	31,3	0,0	31,3	30,0	0,0	30,0	31,1	0,0	31,1
სანებართვო მოსაკრებელი	0,6		0,6	1,3		1,3	1,1		1,1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2		0,2	0,0			0,0		0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30,5		30,5	28,7		28,7	30,0		30,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11,4	0,0	11,4	30,6	0,0	30,6	30,0	0,0	30,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან.(იჯარა)	11,4		11,4	30,6		30,6	30,0		30,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	110,1		110,1	76,6		76,6	100,0		100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	4,0		4,0	8,3		8,3	0,0		
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	595,2		595,2	115,9	52,2	63,7	274,312	211,685	57,627
გაუნაწილებელი ნაშთი	24,2		24,2	0,0			5,0		5,000
არაფინანსური აქტივების კლება	34,2	0,0	34,2	160,8	0,0	160,8	50,0	0,0	50,0
ძირითადი აქტივები	10,7		10,7	48,4		48,4	0,0		
არაწარმოებული აქტივები	23,5	0,0	23,5	112,5	0,0	112,5	50,0	0,0	50,0
მიწა	19,2		19,2	112,5		112,5	50,0		50,0



მუხლი 4. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახადები 620,0 ათასი ლარით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	107,8	0,0	107,8	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0
ქონების გადასახადი	107,8	0,0	107,8	170,4	0,0	170,4	170,0	0,0	170,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0			417,0		417,0	450,0		450,0

მუხლი 5. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები 5 605,9 ათასი ლარით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8 317,8	2 827,5	5 490,3	8130,1	2810,9	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 317,8	2 827,5	5 490,3	8130,1	2810,9	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 648,3	158,0	5 490,3	5 479,2	160,0	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 490,3		5 490,3	5 319,2		5 319,2	5 445,9		5 445,9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158,0	158,0		160,0	160,0		160,0	160,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 669,5	2 669,5	0,0	2652,4	2652,4	0,0	0,0	0,0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	1 635,0	1 635,0		1794,3	1794,3		0,0		



გამოყოფილი თანხები									
სოფლის ხარდაჭერის პროგრამა	506,5	506,5		481,6	481,6		0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	528,0	528,0		376,6	376,6		0,0		

მუხლი 6. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 497,4 ათასი ლარით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	831,3	0,0	831,3	328,2	52,2	276,0	497,4	211,7	285,7
ემოსავლები საკუთრებიდან	55,1	0,0	55,1	66,9	0,0	66,9	62,0	0,0	62,0
პროცენტები	17,5		17,5	28,7		28,7	25,0		25,0
რენტა	37,6	0,0	37,6	38,2	0,0	38,2	37,0	0,0	37,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	37,6		37,6	36,0		36,0	35,0		35,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,0			2,2		2,2	2,0		2,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	42,7	0,0	42,7	60,6	0,0	60,6	61,1	0,0	61,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	31,3	0,0	31,3	30,0	0,0	30,0	31,1	0,0	31,1
სანებართვო მოსაკრებელი	0,6		0,6	1,3		1,3	1,1		1,1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2		0,2	0,0			0,0		0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30,5		30,5	28,7		28,7	30,0		30,0



არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11,4	0,0	11,4	30,6	0,0	30,6	30,0	0,0	30,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (იჯარა)	11,4		11,4	30,6		30,6	30,0		30,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	110,1		110,1	76,6		76,6	100,0		100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	4,0		4,0	8,3		8,3	0,0		
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	595,2		595,2	115,9	52,2	63,7	274,312	211,685	57,627
გაუნაწილებელი ნაშთი	24,2		24,2	0,0			5,0		5,000
არაფინანსური აქტივების კლება	34,2	0,0	34,2	160,8	0,0	160,8	50,0	0,0	50,0
ძირითადი აქტივები	10,7		10,7	48,4		48,4	0,0		
არაწარმოებული აქტივები	23,5	0,0	23,5	112,5	0,0	112,5	50,0	0,0	50,0
მიწა	19,2		19,2	112,5		112,5	50,0		50,0

მუხლი 7. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები 6768,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

ორგ. კოდი	ხონის მუნიციპალიტეტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხონის მუნიციპალიტეტი	9 175,2	2 617,2	6 558,0	8 932,9	2 651,5	6 281,4	6 768,3	371,685	6 396,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	193,0	0,0	193,0	158,0	0,0	158,0	781,0	0,0	781,0
	ხარჯები	5 869,8	13,5	5 856,3	6 137,4	162,5	5 974,9	5 690,0	160,0	5 530,0
	შრომის ანაზღაურება	1 328,8	0,0	1 328,8	1 368,8	60,8	1 308,1	1 303,0	59,5	1 243,5
	ხელფასი	1 328,8	0,0	1 328,8	1 368,8	60,8	1 308,1	1 303,0	59,5	1 243,5
	ხელფასები ფულადი ფორმით	1 328,8	0,0	1 328,8	1 368,8	60,8	1 308,1	1 303,0	59,5	1 243,5



თანამდებობრივი სარგო	1 227,6	0,0	1 227,6	1 258,5	55,8	1 202,7	1 303,0	59,5	1 243,5
პრემია	99,4	0,0	99,4	110,1	4,9	105,2	0,0	0,0	0,0
დანამატი	1,8	0,0	1,8	0,2	0,0	0,2	0,0	0,0	0,0
საქონელი და მომსახურება	673,0	13,5	659,5	665,1	9,8	655,4	607,1	8,5	598,6
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	80,5	0,0	80,5	86,5	0,0	86,5	80,0	0,0	80,0
მივლინებები	8,3	0,0	8,3	11,0	1,1	10,0	10,5	0,5	10,0
მივლინება ქვეყნის შიგნით	7,9	0,0	7,9	7,0	1,1	5,9	10,5	0,5	10,0
მივლინება ქვეყნის გარეთ	0,4	0,0	0,4	4,0	0,0	4,0	0,0	0,0	0,0
ოფისის ხარჯები	295,1	13,5	281,6	297,6	6,0	291,7	289,1	4,5	284,6
საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	15,2	0,0	15,2	11,8	0,0	11,8	15,6	0,5	15,1
კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1,0	0,0	1,0
ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები	16,3	0,0	16,3	14,0	0,3	13,7	10,0	0,0	10,0
მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	21,0	13,5	7,5	8,1	0,0	8,1	11,7	0,2	11,5
ტელევიზორი	0,5	0,0	0,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მაგივარი	0,4	0,0	0,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კომპიუტერული ტექნიკა	2,4	0,0	2,4	1,3	0,0	1,3	0,0	0,0	0,0
ასლგადამღები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	0,9	0,0	0,9	2,6	0,0	2,6	2,0	0,0	2,0
ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა	0,0	0,0	0,0	0,4	0,0	0,4	1,0	0,0	1,0
მობილური ტელეფონი	1,7	0,0	1,7	1,4	0,0	1,4	0,0	0,0	0,0
გამათბობელი და გათბობის ხარჯები	1,6	0,0	1,6	2,5	0,0	2,5	2,2	0,2	2,0



სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	13,5	13,5	0,0	0,0	0,0	0,0	1,5	0,0	1,5
საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	6,6	0,0	6,6	11,4	1,2	10,2	7,0	0,0	7,0
საოფისე ავეჯი	4,9	0,0	4,9	6,8	1,0	5,8	7,0	0,0	7,0
რბილი ავეჯი	0,4	0,0	0,4	1,5	0,0	1,5	0,0	0,0	0,0
სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	1,3	0,0	1,3	3,1	0,3	2,9	0,0	0,0	0,0
ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი	6,0	0,0	6,0	3,6	0,0	3,6	1,0	0,0	1,0
რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	2,2	0,0	2,2	2,0	0,0	2,0	2,0	0,0	2,0
შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი	23,5	0,0	23,5	3,3	3,0	0,3	2,5	0,0	2,5
საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	0,0	0,0	0,0	1,2	0,0	1,2	2,0	0,0	2,0
კავშირგაბმულობის ხარჯი	40,4	0,0	40,4	37,2	0,0	37,2	23,5	1,0	22,5
საფოსტო მომსახურების ხარჯი	4,2	0,0	4,2	2,6	0,0	2,6	3,3	0,3	3,0
კომუნალური ხარჯი	155,3	0,0	155,3	201,5	1,5	200,0	209,5	2,5	207,0
ელექტროენერგიის ხარჯი	149,9	0,0	149,9	188,7	0,4	188,3	200,0	2,0	198,0
წყლის ხარჯი	5,4	0,0	5,4	12,8	1,1	11,7	9,5	0,5	9,0
შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული	4,4	0,0	4,4	1,1	0,0	1,1	0,0	0,0	0,0
წარმომადგენლობითი ხარჯები	22,7	0,0	22,7	25,1	0,0	25,1	15,0	0,0	15,0
სამედიცინო ხარჯები	0,3	0,0	0,3	0,3	0,0	0,3	0,0	0,0	0,0
რბილი ინვენტარის,									



უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,2	0,0	0,2	0,0	0,0	0,0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	98,8	0,0	98,8	104,0	2,6	101,3	97,5	3,5	94,0
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	50,6	0,0	50,6	64,1	0,0	64,1	60,0	0,0	60,0
მიმდინარე რემონტის ხარჯი	35,3	0,0	35,3	24,2	0,0	24,2	23,2	0,0	23,2
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	1,2	0,0	1,2	5,5	0,0	5,5	0,8	0,0	0,8
ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	11,6	0,0	11,6	10,1	2,6	7,5	13,5	3,5	10,0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	167,3	0,0	167,3	140,4	0,1	140,3	115,0	0,0	115,0
კადრების მომზადება-გადაზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	5,7	0,0	5,7	1,9	0,0	1,9	2,0	0,0	2,0
რეკლამის ხარჯი	3,5	0,0	3,5	1,0	0,0	1,0	0,0	0,0	0,0
საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	3,4	0,0	3,4	3,7	0,0	3,7	3,0	0,0	3,0
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	6,4	0,0	6,4	4,1	0,0	4,1	5,0	0,0	5,0
საარქივო მომსახურების ხარჯი	0,6	0,0	0,6	0,9	0,0	0,9	1,0	0,0	1,0
შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი	29,6	0,0	29,6	12,0	0,0	12,0	12,0	0,0	12,0
კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების და მაუწყებლობის ხარჯები	14,0	0,0	14,0	12,3	0,0	12,3	32,0	0,0	32,0
სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	104,1	0,0	104,1	104,6	0,1	104,5	60,0	0,0	60,0
სუბსიდიები	3 234,5	0,0	3 234,5	3 289,2	88,0	3 201,2	3 098,0	86,0	3 012,0
გრანტები	166,6	0,0	166,6	154,7	0,0	154,7	0,0	0,0	0,0
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	166,6	0,0	166,6	154,7	0,0	154,7	0,0	0,0	0,0
მიმდინარე	166,6	0,0	166,6	154,7	0,0	154,7	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	390,9	0,0	390,9	529,4	4,0	525,4	477,0	4,0	473,0
სოციალური დაზღვევა	0,0	0,0	0,0	14,7	0,0	14,7	0,0	0,0	0,0
ფულადი ფორმით	0,0	0,0	0,0	14,7	0,0	14,7	0,0	0,0	0,0
სოციალური დახმარება	389,1	0,0	389,1	502,5	4,0	498,5	470,0	4,0	466,0
ფულადი ფორმით	389,1	0,0	389,1	502,5	4,0	498,5	470,0	4,0	466,0
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	1,8	0,0	1,8	12,2	0,0	12,2	7,0	0,0	7,0
ფულადი ფორმით	1,8	0,0	1,8	12,2	0,0	12,2	7,0	0,0	7,0
სხვა ხარჯები	76,1	0,0	76,1	130,2	0,0	130,2	204,9	2,0	202,9
სხვადასხვა ხარჯები	76,1	0,0	76,1	130,2	0,0	130,2	204,9	2,0	202,9
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	69,8	0,0	69,8	126,8	0,0	126,8	166,3	0,0	166,3
სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯი	0,5	0,0	0,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი	69,2	0,0	69,2	126,8	0,0	126,8	166,3	0,0	166,3
სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	6,3	0,0	6,3	3,4	0,0	3,4	38,6	2,0	36,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 305,4	2 603,7	701,7	2 714,6	2 488,8	225,7	1 015,0	159,4	855,6
ძირითადი აქტივები	3 305,4	2 603,7	701,7	2 714,6	2 488,8	225,7	1 015,0	159,4	855,6
შენობა-ნაგებობები	3 081,4	2 600,9	480,5	2 668,9	2 488,8	180,1	981,5	159,4	822,1
საცხოვრებელი შენობები	0,0	0,0	0,0	0,3	0,0	0,3	63,0	63,0	0,0
არასაცხოვრებელი შენობები	1 324,1	1 084,2	239,9	351,5	333,1	18,4	242,3	27,3	215,0
ქუჩები	0,0	0,0	0,0	0,1	0,1	0,0	0,0	0,0	0,0
გზები	1 076,3	869,9	206,4	2 064,6	1 937,7	127,0	587,1	0,0	587,1
ხიდები	2,2	1,9	0,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	14,9	14,9	0,0	11,5	11,5	0,0	0,0	0,0	0,0



	ელექტროგადამცემი ხაზები	136,8	113,3	23,5	157,9	129,7	28,1	20,0	0,0	20,0
	სხვა შენობა-ნაგებობები	527,1	516,7	10,4	83,0	76,7	6,3	69,1	69,1	0,0
	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	222,2	2,8	219,4	45,7	0,0	45,7	33,5	0,0	33,5
	სატრანსპორტო საშუალებები	180,0	0,0	180,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მსუბუქი ავტომობილი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ბულდოზერები და სხვა დანარჩენი სპეციალური ტექნიკა	180,0	0,0	180,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა სატრანსპორტო საშუალებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა	42,2	2,8	39,4	45,7	0,0	45,7	33,5	0,0	33,5
	ტელევიზორის შეძენა	1,4	0,0	1,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მაგივრის შეძენა	0,8	0,0	0,8	4,8	0,0	4,8	0,0	0,0	0,0
	კომპიუტერის შეძენა	7,8	0,0	7,8	21,5	0,0	21,5	14,0	0,0	14,0
	პრინტერის, სკანერის და ასლგადამცემის შეძენა	3,9	0,0	3,9	1,3	0,0	1,3	0,0	0,0	0,0
	უწყვეტი კვების წყაროს შეძენა	0,0	0,0	0,0	1,3	0,0	1,3	0,0	0,0	0,0
	ფოტოაპარატის შეძენა	0,8	0,0	0,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა	0,0	0,0	0,0	1,9	0,0	1,9	0,0	0,0	0,0
	ავეჯის შეძენა	0,0	0,0	0,0	1,4	0,0	1,4	2,0	0,0	2,0
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული	27,5	2,8	24,7	13,4	0,0	13,4	17,5	0,0	17,5
	სხვა ძირითადი აქტივები	1,8	0,0	1,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არამატერიალური ძირითადი აქტივები	1,8	0,0	1,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	1,8	0,0	1,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	80,9	0,2	80,7	63,4	52,3	11,0
	საშინაო	0,0	0,0	0,0	80,9	0,2	80,7	63,4	52,3	11,0
	სხვა კრედიტორული	0,0	0,0	0,0	80,9	0,2	80,7	63,4	52,3	11,0



	დავალიანებები	0,0	0,0	0,0	80,9	0,2	80,7	63,4	52,3	11,0
--	---------------	-----	-----	-----	------	-----	------	------	------	------

მუხლი 8. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	34,2	0,0	34,2	160,8	0,0	160,8	50,0	0,0	50,0
ძირითადი აქტივები	10,7		10,7	48,4		48,4	0,0		
არაწარმოებული აქტივები	23,5	0,0	23,5	112,5	0,0	112,5	50,0	0,0	50,0
მიწა	19,2		19,2	112,5		112,5	50,0		50,0

მუხლი 9. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქცი- ონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 228,4	0,0	2 228,4	2 012,9	0,0	2 012,9	1 778,1	0,0	1 778,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 228,4	0,0	2 228,4	2 012,9	0,0	2 012,9	1 778,1	0,0	1 778,1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 228,4	0,0	2 228,4	2 012,9	0,0	2 012,9	1 778,1	0,0	1 778,1
702	თავდაცვა	63,1	0,0	63,1	70,0	66,5	3,5	70,0	70,0	0,0



704	ეკონომიკური საქმიანობა	1 916,1	1 710,4	205,7	2 357,3	2 230,3	127,0	656,2	69,1	587,1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	488,9	483,0	5,9	279,1	279,1	0,0	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	488,9	483,0	5,9	279,1	279,1	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	918,3	718,5	199,8	1 613,6	1 486,6	127,0	534,6	2,5	532,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	918,3	718,5	199,8	1 613,6	1 486,6	127,0	534,6	2,5	532,1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	508,9	508,9	0,0	464,5	464,5	0,0	121,5	66,5	55,0
705	გარემოს დაცვა	450,0	0,0	450,0	511,8	0,0	511,8	447,0	0,0	447,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	450,0	0,0	450,0	511,8	0,0	511,8	447,0	0,0	447,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	224,1	0,0	224,1	411,0	171,7	239,3	683,9	90,3	593,6
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0	196,6	171,7	25,0	311,9	90,3	221,6
7064	გარე განათება	23,7	0,0	23,7	26,5	0,0	26,5	200,0	0,0	200,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	200,4	0,0	200,4	187,8	0,0	187,8	172,0	0,0	172,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	90,0	0,0	90,0	88,0	88,0	0,0	86,0	86,0	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	90,0	0,0	90,0	88,0	88,0	0,0	86,0	86,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 977,8	500,3	1 477,5	1 482,8	90,8	1 392,0	1 058,5	0,0	1 058,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	784,4	388,6	395,8	424,5	0,0	424,5	200,0	0,0	200,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	917,3	111,7	805,6	747,2	90,8	656,4	598,5	0,0	598,5
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65,6	0,0	65,6	67,5	0,0	67,5	40,0	0,0	40,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი	210,5	0,0	210,5	243,6	0,0	243,6	220,0	0,0	220,0



	საქმიანობა									
709	განათლება	1 415,6	406,5	1 009,1	1 155,1	0,0	1 155,1	1 217,3	0,0	1 217,3
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 190,8	406,5	784,3	861,7	0,0	861,7	944,3	0,0	944,3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	224,8	0,0	224,8	293,4	0,0	293,4	293,4	0,0	273,0
710	სოციალური დაცვა	640,1	0,0	640,1	763,1	4,0	759,1	708,0	4,0	704,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	581,6	0,0	581,6	703,7	0,0	703,7	653,0	0,0	653,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	58,5	0,0	58,5	59,4	4,0	55,4	55,0	4,0	51,0
	სულ	9 175,2	2 617,2	6 558,0	8 852,0	2 651,3	6 200,6	6 704,9	319,4	6 385,6

მუხლი 10. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	3 387,1	2 814,0	573,1	2 908,3	2 700,6	207,7	1033,3	211,7	821,6

მუხლი 11. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ლარი.
2. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 115,9 ლარი.

მუხლი 12. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 13. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო



გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას ფონდი 2,2 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი – 160,0 ათ. ლარი – მიმართულ იქნეს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 86.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 70.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 4.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - (პროგრამული კოდი 02 00)

ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი ძირითადი პროგრამები:

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხონის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით მათი რესპუბლიკის სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში მობილიზებული რეზერვისტების ტრანსპორტირება დისლოკაციის ადგილამდე.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

5. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

6. დასუფთავების ღონისძიებები, ააიპ – კომუნალური სერვისცენტრი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვა და მათი იზოლირება.

7. შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის, მიმდინარე რემონტის, რეაბილიტაციისა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა (რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვს 70 000 ნაკლები სარეიტინგო ქულა) საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოებისათვის სამშენებლო მასალების გადაცემა (აზბესტობეტონის ტალღოვანი ფურცელი (შიფერი) ან ლითონის მოთუთიებული ფურცელი, ხის მასალა).

8. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, ქუჩებზე არსებული ქსელის მოვლა შენახვა და მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება. ასევე ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობა.

9. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

10. ა(ა)იპ – სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამით ფინანსდება ააიპ – სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

11. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

12. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი



სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

13. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

14. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01, 04 06)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ცენტრალური საბავშვო ბაღი.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა არის 960 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთ ბავშვზე საშუალო თვიური გადასახადი შეადგენს 0 ლარს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ კვების ხარჯს, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფის გახსნა, რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება.

04 06 პროგრამული კოდით დაფინანსდება ხონის მუნიციპალიტეტის მოსე ხონელის და კ. ჩხენკელის სახელობის საჯარო სკოლებში 2 მზაობის ჯგუფის ფუნქციონირება, სადაც სკოლამდელ აღზრდას გადის 59 ბავშვი.

15. ა(ა)იპ ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, სადაც მუშაობს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, აქ მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის დაწყებით განათლებას ტექნიკურ მოდელირებაში.

16. ა(ა)იპ – ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი (პროგრამული კოდი 04 03)

ა(ა)იპ ინფორმატიკის სასწავლო ცენტრში ხორციელდება როგორც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის, ასევე პირობითი მსჯავრის მქონე პირებისათვის კომპიუტერული პროგრამების სწავლება.

17. ა(ა)იპ – ვეტა ჩხენკელის სახ. ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

ა(ა)იპ – მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს სასწავლო და შემოქმედებითი წრეები, კლუბები, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები და სახელოვნებო სტუდიები.

18. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.



19. ა(ა)იპ – სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ფეხბურთელთათვის სავარჯიშო და სათამაშო პირობების შექმნას, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პოპულარიზაციას. აღნიშნული ა(ა)იპ-ის ფარგლებში შექმნილია საფეხბურთო გუნდი „იმერეთი“, რომელიც მონაწილეობას იღებს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში.

20. ა(ა)იპ – კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ – კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსებას, სადაც ფუნქციონირებს ფეხბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის, ჭადრაკის სექციები და უზრუნველყოფს სხვადასხვა ტურნირში მათი მივლინებასა და კვების ხარჯების დაფინანსებას, საწვრთნელი პირობების შექმნას. ხელს უწყობს ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდას, წარმოჩენას და ფართო ასპარეზზე გაყვანას. სხვადასხვა სპორტულ წრეებში დაკავებულია 170 აღსაზრდელი.

21. ააიპ – მთავარი ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – ხონის მთავარი ბიბლიოთეკა, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებს, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

22. ა(ა)იპ – სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – ხონის სამუსიკო სკოლა. სკოლაში სწავლობს 240-მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და თეორიული განყოფილება, სოლფეჯიოს, მუსიკის ლიტერატურის და რიტმის ჯგუფი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შიდა ღონისძიებები, ღია და დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, ტექნიკური ჩათვლები.

23. ა(ა)იპ – კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ააიპ კულტურის ცენტრში შექმნილია წრეები, ფუნქციონირებს თეატრალური დასი, სასულე ორკესტრი, ფოლკლორული ანსამბლები, ასევე იდგმება სპექტაკლები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას.

24. ა(ა)იპ – სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ა(ა)იპ – სამხატვრო სკოლა ხელს უწყობს ბავშვებისა და მოზარდების სკოლისგარეშე მუშაობაში ჩართვას, ესთეტიკურ აღზრდას და მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებას.

25. ა(ა)იპ – ხონის ისტორიული მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „ხონის ისტორიული მუზეუმის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ მუზეუმებს. სისტემატურად მოიძიებს ისტორიულ წყაროებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ექსპონატებს. მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პატრიოტული სულისკვეთებით.

26. ტელერადიო და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტებისა და გაზეთის გამოცემის, საკანონმდებლო მაცნეში ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხარჯები. ასევე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების გაშუქება.

27. ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა



თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

28. ეპარქია და სახალხო დღესასწაულები (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ტრადიციული სახალხო დღესასწაულები და ღონისძიებების დაფინანსება.

29. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

